



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ურთიერთდასწრებისა და
სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა

გორი

2018 წელი

1. პრეამბულა

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში-აკადემია) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის - აკადემიაში სწავლისა და სწავლების ხარისხის კონტროლის კრიტერიუმების და მათი გამოყენების მეთოდოლოგიის განსაზღვრის, სწავლა/სწავლების პროცესის თანამედროვე მეთოდებით წარმართვის მიზნით შეიმუშავა „ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა“, რათა აკადემიის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს/სამხედრო ინსტრუქტორებს (შემდგომში „პედაგოგს“) შეექმნას გარემო ერთმანეთს გაუზიაროს იდეები და გამოცდილება მიმდინარე სწავლება-სწავლის პროცესის თაობაზე. ამასთან, ურთიერთდასწრება და შეფასება საშუალებას მისცემს აკადემიის ადმინისტრაციას, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს, სისტემატურად მიიღონ ინფორმაცია აკადემიაში სწავლება-სწავლის არსებულ მდგომარეობაზე, მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე. ყოველივე პრაქტიკულად შეუწყობს ხელს სწავლება-სწავლის პროცესის ამა თუ იმ მიმართულების ეფექტურობას. პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მოთხოვნების გაანალიზების საფუძველზე შემუშავებულ იქნას სასწავლო პროცესის სრულყოფისა და მისი გაუმჯობესების პრაქტიკული რეკომენდაციები.

აღნიშნული პროცესი აკადემიისთვის ინოვაციას ნამდვილად არ წარმოადგენს, პროცესი წლებია მიმდინარეობს და მის მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მაგრამ პროცესის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა „ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა“ შესაბამისი პროცესებითა და მექანიზმებით, რაც სწავლება-სწავლის პროცესს გახდის ეფექტურს და იუნკერზე ორიენტირებულს, გაიზრდება პედაგოგების პასუხისმგებლობა, თვითდაჯერებულობა და თვითრწმენა, ნდობა და კოლეგიალობა თანამშრომელთა შორის;

სასწავლო პროცესი ფოკუსირებული იქნება სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე და იუნკერის მიღწევებზე;

2. ტერმინთა განმარტება

ა) სააუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვება - ლექციაზე, პრაქტიკულ მეცადინეობაზე და ლაბორატორიულ მუშაობაზე დასწრება არსებული სურათის აღწერის მიზნით;

ბ) დამკვირვებელთა ჯგუფი-დაკვირვების ჯგუფის წევრი შესაძლებელია იყოს რექტორის მოადგილეები, ბაკალავრიატის/კოლეჯის ხელმძღვანელი/მეთაური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი/თანამშრომელი, სასწავლო სამსახურის თანამშრომელი, პროგრამის ხელმძღვანელი, აგრეთვე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მასწავლებლები და ინსტრუქტორები, რომლებსაც გავლილი აქვთ

შესაბამისი ტრენინგი სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დაკვირვების საკითხებში, იცნობენ დაკვირვების პროცედურას და შეფასების კრიტერიუმებს. დაკვირვების ჯგუფის წევრი ასევე შესაძლებელია იყოს გარე უცხოელი ექსპერტები და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტი.

გ) სააუდიტორიო მუშაობა - ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ჯგუფში მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა და ა.შ.;

3. პოლიტიკის ძირითადი მიზნები

1. ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

ა) სწავლება-სწავლის პროცესის არსებული მდგომარეობის შეფასება;

ბ) პედაგოგებს შორის იდეებისა და გამოცდილებების გაზიარება სწავლება-სწავლის პროცესში;

გ) პედაგოგების შესაძლებლობებისა და კომპეტენციების განვითარება;

დ) არსებული სასწავლო რესურსების სრულად გამოყენების შეფასება, ხარვეზების გამოკვეთა და შემდგომი სრულყოფის გზების დასახვა;

ე) პედაგოგების ხელშეწყობა სწავლება-სწავლის, პედაგოგიკის ასპექტებისა და პრაქტიკასთან დაკავშირებული ტრენინგების უზრუნველყოფით იუნკერთა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

ვ) პედაგოგების აქტიური ჩართულობა სწავლება-სწავლის არსებული პრაქტიკის კოლექტიურ განხილვაში საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე;

ზ) სწავლება-სწავლის საუკეთესო მაგალითების წარმოჩენა და იმ პედაგოგების წახალისება, რომელიც ეფექტურად იყენებს სწავლება-სწავლის მეთოდებს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად;

თ) უზრუნველყოს პედაგოგების ჩართულობა აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკისა და გეგმების განხორციელებაში.

4. პრინციპები და პროცედურა

1. სასწავლო პროცესზე დაკვირვების მიზანია პედაგოგებმა წარმოაჩინონ საკუთარი თავი და გამოავლინონ სწავლების ეფექტიანი უნარ-ჩვევები;

2. სასწავლო პროცესზე დაკვირვება უნდა ხორციელდებოდეს ღია, გამჭვირვალე და თანამშრომლობითი გზით;
3. სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხელს შეუწყობს წარმატებული პრაქტიკის გადაცემას გამოცდილების გაზიარების და მიზანმიმართული მხარდაჭერის გზით;
4. ამ ტიპის შეფასებას წვლილი შეაქვს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში, მაგრამ, როგორც წესი, არ გულისხმობს საქმიანობის შეფასების თვალსაზრისით ქულების დაგროვებას.
5. ყველა სასწავლო კურსისთვის და სასწავლო კურსის განმახორციელებლისთვის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მასწავლებლები და ინსტრუქტორები), შემდგომში პედაგოგები, ჩატარდება წელიწადში მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ ორი დაკვირვება შემთხვევითი შერჩევის გზით. იქ, სადაც შეფასება იქნება უარყოფითი, უზრუნველყოფილი იქნება მხარდაჭერა და ჩატარდება შემდგომი დაკვირვება;
6. დაკვირვების ჯგუფის ყველა წევრი გაივლის შესაბამის მომზადებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ გაკეთებული შეფასების საიმედოობა და უტყუარობა; ყველა პედაგოგი უზრუნველყოფილი იქნება უკუკავშირით;
7. ყველა დაინტერესებული პირისთვის და ყველა პედაგოგისთვის ცნობილი იქნება დაკვირვების პროცესის ეტაპები და ყველა ის დოკუმენტაცია, რომელიც ამ პროცესში გამოიყენება.
8. პედაგოგს წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია, რომ დაგეგმილია მის მიერ განხორციელებულ მეცადინეობებზე დაკვირვება.
9. მეცადინეობაზე დაკვირვებას ჩაატარებს 2 დამკვირვებელი.
10. დაკვირვების ჯგუფის წევრი შეირჩევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამკვირვებელთა ჯგუფის სიიდან, რომელიც შედგენილია აკადემიის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სამხედრო ინსტრუქტორებისა და მასწავლებლებისგან. დაკვირვების ჯგუფის წევრების შერჩევას შესაძლოა წინ უძღოდეს კონსულტაცია პროგრამის ხელმძღვანელთან.
11. დაკვირვების ჯგუფის წევრები ესწრებიან რა ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით აფასებენ მეცადინეობებს, ატარებენ გამოკვლევას რეალურად მიმდინარე და სასწავლო კურსების პროგრამებით (სილაბუსებით) გათვალისწინებული სასწავლო პროცესების თანხვედრის დადგენის მიზნით.
12. მეცადინეობის დაწყებამდე იუნკერებს/მსმენელებს აცნობებენ, რომ ესწრებათ დამკვირვებლები, რომელთა ფუნქციაა სწავლების პროცესზე (და არა იუნკერებზე/მსმენელებზე) დაკვირვება.

13. მეცადინეობის განმავლობაში დამკვირვებელი სტანდარტული ფორმით აკეთებს აღნიშვნებს და აწარმოებს ჩანაწერებს. დამკვირვებლები აღწერენ ნაწილის დადებით მხარეებს, სწავლების იმ ასპექტებს, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას და გამოთქვამენ მოსაზრებებს, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესება, იქნება ეს უშუალოდ მათზე ყურადღების გამახვილება თუ, კონკრეტული ქმედების განხორციელება.

14. დაკვირვების ჯგუფი მეცადინეობაზე დაკვირვების შემდეგ ანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს მეცადინეობის სრულყოფისათვის.

15. დაკვირვების ანგარიშს ხელს აწერს დამკვირვებელთა ჯგუფის ორივე წევრი და აბარებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. მისი ასლი ეგზავნება პედაგოგს, კონფიდენციალურობის სრული დაცვით.

16. შესაძლებელია დაკვირვება მოხდეს პედაგოგის მოთხოვნით კონკრეტულ მეცადინეობაზე ან კონკრეტულ ჯგუფთან დასწრებისთვის, იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგს სჭირდება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით კვალიფიციური რჩევის ან მხარდაჭერის მიღება.

17. დაკვირვების ანგარიში მიეწოდება შესაბამის პედაგოგს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. პედაგოგი გაეცნობა რა დაკვირვების ჯგუფის შეფასებას, საკუთარ მოსაზრებებს აფიქსირებს დაკვირვების უკუკავშირის წერილში. მას შეუძლია არ დაეთანხმოს დაკვირვების ჯგუფის მოსაზრებებს და წერილში მოიყვანოს მისი პოზიციის დამადასტურებელი ფაქტები. პედაგოგს ასევე შეუძლია მოითხოვოს მეორე დაკვირვება თუ:

- პედაგოგი თვლის, რომ წინა მეცადინეობა, რომელზეც მიმდინარეობდა დაკვირვება არ ასახავს პედაგოგის ჩვეულ მეცადინეობის ჩატარების სტანდარტებს;
- პედაგოგი არ ეთანხმება დამკვირვებლების შეფასებებს.

18. ამ შემთხვევებში მოქმედებს შემდეგი პროცედურა:

შემთხვევა 1.

ა) პედაგოგი მიზეზის მითითებით წერილობით მიმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დამატებითი დაკვირვების ჩატარების თაობაზე დაკვირვების ანგარიშის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში .

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს წერილობით მიმართვას და 3 სამუშაო დღის განმავლობაში დანიშნავს დამატებითი დაკვირვების თარიღს.

გ) დამატებითი დაკვირვება განხორციელდება იგივე დამკვირვებლების მიერ და დამატებითი შეფასების ანგარიშს ექნება იგივე წონა, რაც წინა შეფასების ანგარიშს.

შემთხვევა 2.

ა) პედაგოგი მიზეზის მითითებით წერილობით მიმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დამატებითი დაკვირვების ჩატარების თაობაზე დაკვირვების ანგარიშის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში .

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს წერილობით მიმართავს და 3 სამუშაო დღის განმავლობაში დანიშნავს დამატებითი დაკვირვების თარიღს.

გ) დამატებითი დაკვირვება განხორციელდება კვლავ ორი დამკვირვებლის მიერ. მათგან ერთი იქნება პირველი დაკვირვების ჯგუფის წევრი (შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეული) და მეორე, ახალი დამკვირვებელი. მეორე, დამატებითი შეფასების ანგარიში იქნება საბოლოო შეფასება.

19. მეცადინეობაზე დაკვირვების ანკეტის და კოლეგიალური შეფასების ოქმის წარმოდგენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უადრეს დაკვირვების ჩატარების/დაკვირვების ანგარიშის მიღების შემდეგი სამუშაო დღისა და არა უგვიანეს შემდეგი 5 სამუშაო დღისა.

20. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაკვირვების ჯგუფების ანგარიშს და დაკვირვების უკუკავშირის წერილს გააცნობს რექტორს, რექტორის მოადგილეებს, სასწავლო სამსახურს, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელს. საჭიროებისამებრ მოეწყობა შეხვედრები წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის. შეხვედრებზე შესაძლებელია პედაგოგების მოწვევა.

21. მეცადინეობებზე კოლეგების, პროგრამის ხელმძღვანელის დასწრება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან წინასწარი შეთანხმების გარეშე კოლეგების ურთიერთშეთანხმებით და ურთიერთდასწრების სურვილის არსებობის შემთხვევაში.